ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურმა 2021 წლის 12 თვეში უზრუნველყო მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების და დამატებების შეტანა, შესაბამისი სამართლებრივი დოკუმენტაციის საფუძველზე, მუნიციპალური პროგრამების საფინანსო გაანგარიშება - დასაბუთება და შესრულება, ბიუჯეტის სახსრების მიზანშეწონილად გამოყენება.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების მ.შ. გადასახადების გეგმა შეადგენდა 6 300,4 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 998,6 ათასი, გრანტების გეგმა შეადგენდა 9214,9 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 695,6 ათასი, სხვა შემოსავლების გეგმა შეადგენდა 2031,7 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1261,1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლების გეგმა განსაზღვრული იყო 87,7 ათასით ფაქტიურად შემოსულია 212,0 ათასი ლარი.

- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების (პროგრამული კოდი 01 00) დაფინანსებაზე გახარჯულია 2934,6 ათასი ლარი.
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00) დაფინანსებაზე - გახარჯულია 7896,6 ათასი ლარი;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00) - ხარჯებმა შეადგინა 553,2 ათასი ლარი;
- განათლება (პროგრამული კოდი 04 00) გახარჯულია - 2 391,2 ათასი ლარი;
- კულტურა რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) გახარჯულია - 2375,2 ათასი ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) ხარჯებმა შეადგინა - 1 244,0 ათასი ლარი.

დაზუსტებული ინფორმაცია თითოელ მხარჯავ დაწესებულებაზე წარმოდგენილი იქნება 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში.